

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბაცანკალაშვილი, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

თამთა კამკამიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;

ნინო გოგორელიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნანა ნიკოლაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

დალი კერესელიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

თამარი ჩიმაკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ბელა დურგლიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მიმოზა ტყეშელაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ეკატერინე კვირკველია - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	241494511

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორისციხე
ფაქტობრივი მისამართი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორისციხე
საფოსტო ინდექსი	4700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1279?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	goristsikhe@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 02 აგვისტოს MES 6 24 0000939185 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2 და 3 სექტემბერი, 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორისციხე, 1 შენობა-ნაგებობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორისციხე,

				1 შენობა-ნაგებობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორისციხე, 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლაში ვიზიტი 2024 წლის 2 და 3 სექტემბერს განხორციელდა. ვიზიტამდე დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების კითხვარზე დართული დოკუმენტაცია; ასევე, გამოგზავნა ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი დამატებითი მტკიცებულებები შესაბამის ვადებში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვესწავლა ინფორმაცია დაწესებულების შესახებ და მოვმზადებულიყავით უშუალო ვიზიტისათვის.

ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში. ჩატარდა გასაუბრებები საგნობრივ ექსპერტებსა და კათედრების წარმომადგენლებს შორის. დაწესებულების ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინა ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაციის დიდი ნაწილი.

საგნობრივმა ექსპერტებმა ჯგუფის თავმჯდომარესა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთან შეთანხმებულ ვადებში წარმოადგინეს შეფასების ფორმები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის რევიზიაში აქტიურად იყო ჩართული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი. პროცესში გათვალისწინებულ იქნა ჯგუფის წევრების გამოცდილება და უკუკავშირი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანი დაწესებულებაა, რომელიც მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში; ის პირველი საჯარო სკოლაა ზაყბეგის მუნიციპალიტეტში, რომელშიც განხორციელდა ავტორიზაციის ვიზიტი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლის თითოეული თანამშრომელი ერთმანეთს უცხადებს თანადგომას და მზად არის დაეხმაროს მნიშვნელოვანი ამოცანების დაძლევაში. ეს ვიზიტის დროს ნათლად გამოჩნდა, ვინაიდან ექსპერტთა გუნდს ჰქონდა არა ერთი რჩევა და რეკომენდაცია მარეგულირებელი დოკუმენტაციის, საქმის წარმოებისა და პროგრამული ნაწილის კუთხით და ბევრი მათგანი ვიზიტის დროსვე დაკმაყოფილდა, სწორედ სკოლის გუნდის შეთანხმებული მოქმედებითა და ერთიანი ძალისხმევით. სკოლის დირექტორი და პედაგოგები მონადინებულნი არიან, გასწიონ დიდი სამუშაო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მისაღწევად.

სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლას აქვს დიდი გამწვანებული ეზო, რომელშიც განთავსებულია შემოსაზღვრული სპორტული მოედანი; დაწესებულებას ასევე აქვს შიდა სპორტული დარბაზი (შედარებით მცირე ზომის), რომელშიც განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთი, შვედური კედელი, ტრენაჟორი და სხვა სპორტული ინვენტარი. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა და აქტივობა - ხორციელდება მეზობელ სკოლებს შორის საერთო სპორტული ღონისძიებები და შეჯიბრებები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები
 I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 აღამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შეესაბამება.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	კურიკულუმი	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კვალიფიციური პედაგოგების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) დასაქმება, შესაბამისობის გეგმაში განწერილი თარიღების მიხედვით (25.12.24 - 25.12.25).
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში განწერილი ვადის მიხედვით უზრუნველყოს: ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება (შესრულების ვადა: 03.09.25) ბ) კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემის უზრუნველყოფა (ვიზიტის პერიოდისთვის დაწესებულებას უკვე დამონტაჟებული ჰქონდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, თუმცა კამერები არ ფიქსირდებოდა კიბის უჯრედებში - ამგვარად,

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული მოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში განწერილი ვადის მიხედვით, დაამონტაჟოს ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები კიბის უჯრედებში) (შესრულების ვადა: 08.10.2026).
ინდიკატორი 3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში განწერილი თარიღის მიხედვით განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (შესრულების ვადა: 03.09.2025).
ინდიკატორი 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სკოლამ დროის მცირე მონაკვეთში მოაწყო სათადარიგო პანდუსები, ექსპერტთა შეფასებით სკოლის შენობის შიდა ნაწილში კვლავაც ესაჭიროება კაპიტალური აღაპტაცია. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დაამონტაჟოს სათადარიგო შესასვლელის ზღურბლზე გადამსვლელი პანდუსი, სპორტის მცირე დარბაზში შესასვლელი პანდუსი (ორ-სამ საფეხურიანი ჩასასვლელი კიბისთვის) და მეორე სართულზე ასასვლელი კიბის პანდუსები (შესრულების ვადა: 08.10.2026).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დანწყებითი საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების დასაქმება სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, არა უგვიანეს შესაბამისობის გეგმაში მითითებული თარიღისა (25.12.2025).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღჭურვოს და მოაწესრიგოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია არა უგვიანეს შესაბამისობის გეგმაში მითითებული თარიღისა (08.10.2025).
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების დასაქმება სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, არა უგვიანეს შესაბამისობის გეგმაში მითითებული თარიღისა (25.12.2025).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოაწესრიგოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია არა უგვიანეს შესაბამისობის გეგმაში მითითებული თარიღისა (08.10.2025).
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების დასაქმება სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, არა უგვიანეს შესაბამისობის გეგმაში მითითებული თარიღისა (25.12.2025).

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთნაირი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	<u>რჩევა:</u> ერთნაირი სამოქმედო გეგმაში რამდენადმე განსხვავებული ტერმინები და დასათაურებაა გამოყენებული იმ პრიორიტეტებისა და აქტივობებისათვის, რაც სტრატეგიულ გეგმაშია განსაზღვრული; თუმცა, ერთნაირი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები ემსახურება და არ ეწინააღმდეგება სტრატეგიულ გეგმაში იდენტიფიცირებული მიზნების

		განხორციელებას. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს ერთნაირი სამოქმედო გეგმა სკოლის სტრატეგიულ გეგმასთან.
ინდიკატორი N 1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს და დაამტკიცოს მონიტორინგისა და შეფასების დეტალური მექანიზმები;
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	დაწესებულებას მიეცა რჩევა, თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში თვალსაჩინოდ განეროს პერსონალის მართვის პრინციპები, რომელიც აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს და უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

	სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	რჩევა: ვინაიდან დაწესებულება მცირეკონტიგენტიანია (სულ 34 მოსწავლე), სკოლა სარგებლობს სოფელში მდებარე სამედიცინო პუნქტისა და და ექთნის მომსახურებით. აღნიშნული პუნქტი სკოლიდან 50 მეტრშია განთავსებული. <u>იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მიიღებს 50-ზე მეტ მოსწავლეს, მნიშვნელოვანია სკოლის შენობაში შესაბამისი სამედიცინო კაბინეტის მოწყობა და სამედიცინო პერსონალის შტატის დამატება.</u>
ინდიკატორი N 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	<u>დაწესებულებას მიეცა რჩევა,</u> განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ინდიკატორი N 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> ტექნოლოგიების გაკვეთილები ჩატარდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტში, შესაბამისი განრიგის დაცვით.
ინდიკატორი N 3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	<u>დაწესებულებას მიეცა რჩევები,</u> საქმისწარმოების, დოკუმენტების გაფორმებისა და დოკუმენტებში დაშვებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა არა ერთი წესი და დებულება, თუმცა ზოგი მათგანი არ იყო დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული. რამდენიმე მათგანი დამტკიცდა ვიზიტის პერიოდში.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	მათემატიკის კათედრა: კლასკომპლექტებში სასურველია შეიქმნას სპეციალურად დაწყვილებული კლასების წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტი/კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც დასამუშავებელი თემები იქნება დაკლასტერებული/დაწყვილებული და სასწავლო პროცესისთვის გათვალისწინებული იქნება ერთიდამავე დროის მონაკვეთი.
ინდიკატორი N 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მენიერებების კათედრა: - სასურველია 1-4 კლასებში გამოყენებული იქნას ჩარჩოს დიზაინი, რომელიც ითვალისწინებს კონტექსტ მაგალითის გრაფიკულ და ასევე ნათლად გამიჯნავს ერთმანეთისგან ძირითად საკითხებს, რომლის დამუშავებაც დაგეგმილია კომპლექსური დავალებით. - დაწყებით საფეხურზე მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში თემების რაოდენობა და სახელწოდებები დასაზუსტებელია სტანდარტთან მიმართებით (მაგ: თემა-ციკლური პროცესების ნაცვლად მე-4 კლასის ჩარჩოში წერია წყალი და წყლის წრებრუნვა, რომელიც წარმოადგენს საკითხს, ასევე შესაბამისი დავალების მოსწავლის ბარათში-იგივე თემა ფორმულირებულია შემდეგნაირად- როგორ მოდის წვიმა).

		- სასურველია დაკონკრეტდეს რომელი ძირითადი საკითხის/ საკითხთა კლასტერის დამუშავებას ემახურება შერჩეული კომპლექსური დაფალებები; 1-4 კლასების ჩარჩოებში მკაფიოდ გამოსაკვეთია თითოეული საკითხი, რომელ ცნება/ქვეცნებებს ამუშავებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა - სასურველია გასწორდეს საგან- მე და საზოგადოებაში მე-3 კლასი თემა, წერია - სკოლა მეგობრები თანატოლები და უნდა ეწეროს - სასკოლო გარემო მეგობრები თანატოლები; - მე-4 კლასის მე და საზოგადოების წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტში - ე.წ კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილში კი წერია- „განათლება“, უნდა ეწეროს - „სად და როგორ ვიღებ განათლებას“; ასევე, წერია- საზოგადოება ჩემი ქვეყანა, უნდა ეწეროს- „მე და ჩემი ქვეყანა“; - დაზუსტდეს სავალდებულო თემები, ხოლო სავალდებულო თემაში უნდა დამუშავდეს საგანში არსებული ყველა სამიზნე ცნება. - სასურველია კონტექსტ-მაგალითები იყოს მიზნობრივი და მოსწავლეთა ასაკისთვის შესაბამისი(ეს შეიძლება იყოს რაიმე ამბავი, სიტუაცია და უნდა ემსახურობდეს სამიზნე ცნების/ქვეცნებების გააქტიურებას).
ინდიკატორი N 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის სამართლიანი	სასურველია ყველა საგნის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ იკითხებოდეს მიმართებები შეფასების კრიტერიუმებსა და ამა თუ იმ საგნის სტანდარტის ინდიკატორებს შორის, თითოეულ სამიზნე ცნებაზე დაფუძნებით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
--------------	---	-------

ინდიკატორი N 2.2.1.3...	შეფასების სისტემა არის სამართლიანი	სასურველია ყველა საგნის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ იკითხებოდეს მიმართებები შეფასების კრიტერიუმებსა და ამა თუ იმ საგნის სტანდარტის ინდიკატორებს შორის, თითოეულ სამიზნე ცნებაზე დაფუძნებით.
----------------------------	------------------------------------	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა • საგანი-გეოგრაფია • საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტში, ე.წ კურიკულუმის ჩარჩოში, იმ თემებთან სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, სასურველია აისახოს ძირითადი საკითხის შესაბამისი კონტექსტ მავალითი და შედარების მავალითები; • სასურველია გაიწეროს მე-10 და მე-11 კლასის საგნობრივი წლიური გეგმა/პროგრამა ყველა სავალდებულო თემის შესაბამისად; • მე-12 კლასი: ისტორიის საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტი-ე.წ კურიკულუმის ჩარჩო, გაიწეროს ისტორიის საგნობრივ სტანდარტში მოცემული სავალდებულო თემების შესაბამისად; • გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში მე-12 კლასისთვის შეიქმნას საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი წლიური პროგრამის/გეგმის ამსახველი დოკუმენტი. ხოლო, ყველა სავალდებულო თემაში კი დამუშავდეს ყველა გრძელვადიანი მიზანი- სამიზნე ცნება და ასევე სასურველი სამიზნე ცნებებთან ერთად წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტში მიეთითოს ქვეცნებებიც. საგანი- გეოგრაფია,მოქალაქეობა: • სასურველია, წლიური პროგრამის ამსახველ დოკუმენტში/კურიკულუმის ჩარჩოებში რეესურსები მითითებულ იქნას ყველა შესასწავლ საკითხთან.

ინდიკატორი <i>N 2.1.2.2</i>	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ესთეტიკური აღზრდის კათედრა საშუალო საფეხურზე ხელოვნებასა და მუსიკაში სტანდარტის გათვალისწინებით წელიწადში სასურველია განახორციელოს ორი პროექტი.
ინდიკატორი <i>N. 2.2.1.3...</i>	შეფასების სისტემა არის სამართლიანი	სასურველია <u>ყველა საგნის</u> განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ იკითხებოდეს მიმართებები შეფასების კრიტერიუმებსა და ამა თუ იმ საგნის სტანდარტის ინდიკატორებს შორის, თითოეულ სამიზნე ცნებაზე დაფუძნებით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები. აღნიშნულის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ:

ინდიკატორი N 3.1.2.3 - გადავიდა სრულ შესაბამისობაში. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევისა, და სქესობრივი დანაშაულის არ ქონის შესახებ.

ინდიკატორი N 3.4.1.1. - გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში.

აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებამ სრულად აღმოფხვრა შემდგომი ხარვეზები:

- უზრუნველყო ეზოს მონესრიგება და ძველი აუზის იზოლირება - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო-მასალა;*
- შეთანხმა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის უწყებასთან - არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია შეთანხმების წერილი (20.09.2024 MIA 024 02894240);*

აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა შემდგომი ხარვეზების აღმოსაფხვრელად:

- უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება (შესრულების ვადა: 03.09.25);
- კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემის უზრუნველყოფა (ვიზიტის პერიოდისთვის დაწესებულებას უკვე დამონტაჟებული ჰქონდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, თუმცა კამერები არ ფიქსირდებოდა კიბის უჯრედებში - ამგვარად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადის მიხედვით, დაამონტაჟოს ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები კიბის უჯრედებში) (შესრულების ვადა: 08.10.2026).

ინდიკატორი N 3.5.1.1 – გადავიდა მეტწილ შემსაბამისობაში. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა იმის შესახებ, რომ შენობა და მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით გადაეცეს სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელს გორისციხეს საჯარო სკოლას (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი N11/52465 - 11.09.2024). დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა განაცხადი საჯარო რეესტრის განახლების თაობაზე (შესრულების ვადა: 03.09.2025).

ინდიკატორი N 3.5.1.4 – გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სკოლამ ღრობის მცირე მონაკვეთში მოაწყო სათადარიგო პანდუსები, ექსპერტთა შეფასებით სკოლის შენობის შიდა ნაწილს კვლავაც ესაჭიროება კაპიტალური აღაპტაცია.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დაამონტაჟოს სათადარიგო შესასვლელის ზღურბლზე გადამსვლელი პანდუსი, სპორტის მცირე დარბაზში შესასვლელი პანდუსი (ორ-სამ საფეხურიანი ჩასასვლელი კიბისთვის) და მეორე სართულზე ასასვლელი კიბის პანდუსები (შესრულების ვადა: 08.10.2026).

ინდიკატორი N 2.1.2.1 (საბაზო და საშუალო საფეხურები) - გადავიდა სრულ შესაბამისობაში - დაწესებულებამ სრულად წარმოადგინა საგნობრივი პროგრამები (წლიური პროგრამები, კურიკულუმის ჩარჩოები) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცალკეულ საგნებსა და კლასებში.

ინდიკატორი N2.2.2.3 (საბაზო და საშუალო საფეხურები) – გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის მიზნით (შესრულების ვადა: 08.10.2025).

ინდიკატორი N 2.2.2.4 (დანყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) - გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში კვალიფიციური კადრის დასაქმების მიზნით (შესრულების ვადა: 25.12.2025).

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა:

სკოლის მისიაა:

სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლის მისიაა ყველა დაინტერესებულ მხარის (მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე) ურთიერთთანამშრომლობით შექმნას უსაფრთხო და ინკლუზიური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი, განათლებული, სამოქალაქო პასუხისმგებლობით აღჭურვილი ახალგაზრდების აღზრდას.

სკოლის ხედვაა:

სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლის მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელიც 2030 წლისთვის შეძლებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბებას და ამ ბაზაზე მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე პედაგოგების დახმარებით შექმნის ისეთ სასწავლო გარემოს, სადაც აღიზრდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სერიოზულ წვლილს შეიტანენ საქართველოსა და ჩვენი სასაზღვრო რეგიონის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

სკოლის მისიისა და ხედვის განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოება ხელმძღვანელობს ღირებულებებით:

- კოლეგიალობა და გუნდური მუშაობა;
- სამართლიანობა და თანასწორობა;
- პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა;
- სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხი;
- ინოვაციური მიდგომების დანერგვა;

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, თუმცა სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია მის განვითარებასა და მოსწავლეებისათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. სკოლაში განხორციელებული პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავს მისწავლეებისა და თანამშრომლების სასკოლო ცხოვრებაში მაქსიმალურად ჩართვას, სკოლიდან მოსწავლეების მობილობის შემცირებას; დანერგულებებში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას და წესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით. დაწესებულებამ განახორციელა გამოკითხვა, ჩაატარა არა ერთი შეხვედრა მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან, დაადგინა მათი მოლოდინები და პრიორიტეტები, სკოლის მნიშვნელობა მოსწავლის განვითარებაში, გამოიკითხა თუ რა ღირებულებებს უნდა გადასცემდეს სკოლა მოსწავლეებს და შემდგომ შემუშავა მისია და ხედვა საბოლოო სახით (წარმოდგენილია მშობელთა მოსაზრებების კვლევის არა ერთი საინტერესო კითხვარი). ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები. ვიზიტის დროს, ინტერვიუებისა და მსჯელობის პროცესში, არა ერთხელ გამოიკვეთა სკოლის დირექტორს, თანამშრომლებისა და პედაგოგების მიერ, სკოლის მისიისა და ღირებულებების გაცნობიერების მაღალი დონე. აღანიშნავია, რომ დირექტორს არ აქვს ცალკე კაბინეტი და მის მაგიდა დგას სამასწავლებლოში. როგორც გასაუბრებიდან გამოკვეთა, სკოლის მართვისათვის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი თუ დებულება შემუშავებულია გუნდის ჩართულობით და უმრავლესობის უკუკავშირის გათვალისწინებით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები თვასლაჩინოდ არის წარმოდგენილი სკოლის ცენტრალურ შესასვლელში. ისინი ასევე განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდება: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები;
- მშობელთა კვლევის კითხვარები;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, სტრატეგიული გეგმა შემუშავდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც უზრუნველყოფს მის ციკლურობას. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადახედვა და ცვლილების შეტანა სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სკოლამ შეიმუშავა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. რომელშიც გაწერილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები.

სკოლის სტრატეგიული გეგმა რომელიც მოიცავს შესავალ ნაწილს, რეალისტურად და დანერგვით წარმოდგენილ გარემო ფაქტორების კვლევასა და SWOT ანალიზს, სკოლის ფილოსოფიას, სტრატეგიულ ჩარჩოს, სკოლის სტრუქტურას, შედეგების მონიტორინგს.

სკოლის მიერ გამოკვეთილი 5 სტრატეგიული მიზანი, რომელსაც ეყრდნობა შვიდწლიანი გეგმა, არის:

1. სკოლის ორგანიზაციული განვითარება და განმტკიცება;
2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
3. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სკოლის ბაზაზე;
4. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
5. საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და ორიენტირებულია მასში გამოკვეთილი 5 პრიორიტეტის შესრულებაზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: ერთწლიან სამოქმედო გეგმაში რამდენადმე განსხვავებული ტერმინები და დასათაურებაა გამოყენებული იმ პრიორიტეტებისა და აქტივობებისათვის, რაც სტრატეგიულ გეგმაშია განსაზღვრული; თუმცა, ვინაიდან, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები ემსახურება და არ ეწინააღმდეგება სტრატეგიულ გეგმაში იდენტიფიცირებული მიზნების განხორციელებას, ექსპერტთა ჯგუფი შემოიფარგლა რჩევით იმის შესახებ, რომ დანესებულებამ სრულ თანხვედრაში მოიყვანოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სკოლის სტრატეგიულ გეგმასთან.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დანესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმაში, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით განერილია აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- SWOT ანალიზი;
- გარემო ფაქტორების ანალიზი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგს. თუმცა, არ არის დეტალურად წარმოდგენილი მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშების განხორციელების მექანიზმები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს და დაამტკიცოს მონიტორინგისა და შეფასების დეტალური მექანიზმები:

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლის სტრუქტურა შედგება სკოლის დირექციის, მასწავლებლების, ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალის და კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებისგან (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო).

დასაქმებული თანამშრომლების ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები სკოლას განერილი ჰქონდა ხელშეკრულებებსა და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციაში. თუმცა, ვიზიტის დროს, ექსპერტთა რჩევით, სკოლამ შეიმუშავა დოკუმენტი, სადაც გააერთიანა თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დანესხეულებას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, სადაც განსაზღვრულია თუ რა ეკრძალებათ დასაქმებულებს და რისი უფლება აქვთ მათ სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის თანამშრომლებს შესასრულებელი ფუნქციების შესახებ ეცნობებათ ხელშეკრულების გაფორმებამდე და მხარეთა შეთანხმების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ფუნქციები გადანაწილებულია თითოეული თანამშრომლის ცოდნის, უნარებისა და კვალიფიკაციის მიხედვით. სკოლას წარმოდგენილი აქვს დანესხეულების მმართველობითი სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება - ე.წ. ორგანიგრამა.

დანესხეულებაში იგრძნობა, რომ თანამშრომლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული არა მარტო საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, არამედ კოლეგების თანამდებობრივი ინსტრუქციებიც, რაც საშუალებას იძლევა სამუშაო პროცესი განხორციელდეს ეფექტურად და ხარვეზების გარეშე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლის თითოეული თანამშრომელი ერთმანეთს უცხადებს თანადგომას და მზად არის დაეხმაროს მნიშვნელოვანი ამოცანის დაძლევაში. ეს ვიზიტის დროს ნათლად გამოჩნდა, ვინაიდან ექსპერტთა გუნდს ჰქონდა არა ერთი რჩევა და რეკომენდაცია მარეგულირებელი დოკუმენტაციის, საქმის წარმოებისა და პროგრამული ნაწილის კუთხით - ბევრი მათგანი ვიზიტის დროსვე დაკმაყოფილდა სკოლის გუნდის შეთანხმებული მოქმედებითა და ერთიანი ძალისხმევით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეიმუშავა და დაამტკიცა თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კადრების შერჩევის, კონკურის გამოცხადების წესები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქცია-მოვალეობები, სავალდებულო დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა.

სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და განწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს „მასწავლებლის საქმიანობის დანაშაულისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/6 ბრძანების, „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/6 ბრძანების და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის მიხედვით და მოიცავს ინფორმაციას დასაქმებულთა სამუშაო პირობების, შრომის ანაზღაურების, წახალისების/ დისციპლინური ღეგნისა და სხვა საკითხების შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დანესებულებას მიეცა რჩევა, თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში თვალსაჩინოდ გაწეროს პერსონალის მართვის პრინციპები, რომელიც აერთიანებს კადრების მოზიდვის, შერჩევის და ორგანიზაციაში სოციალიზაციის პროცესებს, პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმებს, უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლა ზრუნავს როგორც არსებული კადრების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ისე, საჭიროებისამებრ, ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების შენარჩუნება, ვინაიდან სკოლის გეოგრაფიული

მდებარეობიდან გამომდინარე, რთულია კვალიფიციური კადრის მოძიება და ასევე, მაღალია კადრის გადინების ალბათობაც როგორც კონკურენტული სკოლების, ისე მიგრაციისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლების აუცილებლობის შემთხვევაში, სკოლა ახდენს მყისიერ რეაგირებას, რის გამოც სასკოლო პროცესის შეფერხება არ ხდება. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

დანესებულებაში პერსონალის და მასწავლებლების შერჩევა მიმდინარეობს კანონმდებლობის დაცვით, კონკურსის საფუძველზე. კონკურსის გამოცხადებამდე, შესაბამისი თანამდებობის სამუშაო აღწერილობის გათვალისწინებით, წინასწარ განისაზღვრება კანდიდატისთვის წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები, ასევე წარმოსადგენი დოკუმენტაცია/ინფორმაცია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლაში მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/6 ბრძანების შესაბამისად. დანესებულებას წარმოდგენილი აქვს საკონკურსო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (ვაკანსიის განაცხადები შესაბამის პორტალზე, კონკურსის ოქმები, დირექტორის ბრძანებები).

პერსონალის უდიდესი ნაწილის პირადი საქმეები მონესრიგებული იყო - საქალაქო დონეებში წარმოდგენილი იყო საჭირო დოკუმენტაცია.

ვიზიტის დროს, რამდენიმე თანამშრომელს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ასევე, სკოლის თანამშრომლებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობა სქესობრივი დანაშაულის არ ქონის შესახებ; ვინაიდან 2020 წელს დანესებულებას არ გადაუგზავნია პერსონალის სია შესაბამის უწყებაში შემოწმების მიზნით, აღნიშნული ცნობების წარდგენის ვალდებულება აქვს ყველა თანამშრომელს.

სკოლის დირექტორის განცხადებით, თანამშრომლებს დაევალებოდათ ცნობების წარდგენა უმოკლეს დროში.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ცნობები, რის შედეგადაც ინდიკატორი გადავიდა სრულ შესაბამისობაში სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ამონაწერით განათლების მართვის საინფორმაციო ბაზიდან დასტურდება, რომ დაწესებულებაში დასაქმებულ 10 პედაგოგს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი; სკოლაში დასაქმებულია 3 მასწავლებელი სტატუსის გარეშე, რომლებთანაც გაფორმებულია დროებითი ხელშეკრულება ვაკანსიის შევსებამდე, აღნიშნულ თანამდებობებზე გამოცხადებულია კონკურსი. მათგან, გერმანული ენის პედაგოგსა და ტექნოლოგიების პედაგოგს არ აქვთ შესაბამისი საგნის გამოცდა ჩაბარებული. ორივე მათგანი გეგმავს გამოცდებისათვის მომზადებას და ჩაბარებას.

სკოლაში დასაქმებულია ადმინისტრაციული და ტექ.პერსონალი: დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი (ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობები დაკისრებული აქვს ერთ-ერთ მასწავლებელს), 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი და 1 ცეცხლოფარეში.

თანამშრომელთა უმრავლესობის კომპეტენცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციას. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

აღსანიშნავია, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საათები შეთავსებული აქვს საქმისმწარმოებელს, ხოლო მუსიკის საათები - კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს, ისე რომ აღნიშნულ პირებს არ უდასტურდებათ შესაბამისი საგნების სწავლების კომპეტენცია.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ პედაგოგების შტატზე კონკურსი განახლდება მიმდინარე წლის I სემესტრის დასრულებისას (შესრულების ვადა: 25.12.2024 - 25.12.2025).

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში არსებული კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიები და ჯგუფები მუშაობენ კოლეგიურობის პრინციპით. სკოლა აღნიშნულს ხელს უწყობს ინფრასტრუქტურული მხარდაჭერით, კერძოდ, თანამშრომლები შეუზღუდავად სარგებლობენ სასკოლო მიზნებისთვის სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსებით, ბიბლიოთეკით, სამასწავლებლოთი და სხვა რესურსებით.

სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადანაცვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმისა და საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექტორი. ისინი თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებთან დაკავშირებით, რათა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული სასკოლო თემის საჭიროებები.

სკოლაში იგრძნობა, რომ თანამშრომლები პატივს სცემენ ერთმანეთს, უსმენენ და აქტიური კომუნიკაციის დამყარებით იღებენ გუნდურ გადანაცვეტილებებს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის წახალისების მექანიზმი; წარმატებული მცდელობები დაფასებულია და აღიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სკოლაში არის სპეციალური სივრცე, სადაც თვალსაჩინოდ არის განთავსებული სასკოლო თემის წარმომადგენლების მიღწევები და ჯილდოები, სერტიფიკატები და მადლობის ბარათები.

სკოლა ასევე მიმართავს საუკეთესო პრაქტიკის გასაჯაროებას სოციალური ქსელის მეშვეობით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანანგის;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მასწავლებლის კონკურსის მასალები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან იმპორტირებული თანამშრომლების სია;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
- ინფორმაციის გაზიარებაზე სოც. ქსელის ფოტოების ბმული;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, დაწესებულების პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და დაკვირვება, სამუშაო შეხვედრების მოწყობა, გამოკითხვის ჩატარება, ინდივიდუალური საუბრების განხორციელება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, სასწავლო ჯგუფებში განხილვები, მონიტორინგის ფორმები. ამ მეთოდების გამოყენებით ხდება საჭიროებების დადგენა, რომელთა საპასუხოდაც იგეგმება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

ვინაიდან დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ პერსონალის განვითარებაა, სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგებისა და თანამშრომლების კარიერულ ზრდას. სკოლას ჰყავს მასწავლებლები, რომლებიც ზრუნავენ სტატუსის გაუმჯობესებაზე და ამისათვის აქვთ სკოლის სრული მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობაში, კრიტიკული მეგობრის ინსისტუტის დანერგვაში, რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაში, შემოქმედებითი და პროექტული სწავლების ხელშეწყობაში.

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლა ხელს უწყობს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარს და პროფესიულ კურსებს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში არის პედაგოგთა და თანამშრომელთა მცირეკონტიგენტიანი, თუმცა ძალზე შეკრული და პატივისცემაზე ორიენტირებული გუნდი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობს ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ახალი კადრი არ შემოსულა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, რაც განპირობებულია გეოგრაფიულ არეალში კადრების სიმცირით, მიგრაციითა და სხვა ფაქტორებით.

სხვა მხრივ, სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთდასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. სკოლაში დამკვიდრებული წესი დაეხმარება ახალ თანამშრომელს თავი იგონოს სკოლის ღირებულ გუნდის წევრად და არ შეეწყმნას სამუშაოსთან ინტეგრაციის პრობლემა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლა მაქსიმალურად უჭერს მხარს თანამშრომელთა ინიციატივების განხორციელებას. საინტერესო იდეები და წამოწყებები იკვეთება პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადანაცვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

დანესებულებაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. ყოველივე ამისათვის სკოლამ მექანიზმად გაითვალისწინა **დემინგის ციკლის სისტემა**, ე.წ. PDCA მიდგომა:

P – plan - დაგეგმე; D – do - განახორციელე; C – check - შეამოწმე; A – act - მოახდინე რეაგირება (განავითარე).

აღნიშნულ ციკლის გამოყენება, რომელიც დანესებულებას სხვადასხვა პროცედურულ დოკუმენტში აქვს გაწერილი საშუალებას აძლევს მას განსაზღვროს ნაკლოვანების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშაოს სათანადო რეკომენდაციები. ნაკლოვანების არარსებობის შემთხვევაში, დასახოს არსებული ვითარების შენარჩუნების მექანიზმები. ამ პროცესის ნათელი მაგალითია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მუშაობა, რომლებიც დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებლებს აძლევენ რჩევებს, აფასებენ მათ განმავითარებელი შეფასებით, ამოწმებენ რამდენად იქნა გათვალისწინებული გაცემული რეკომენდაციები და

საჭიროების შემთხვევაში, იღებენ დამატებით ზომებს როგორცაა ტრენინგებში ჩართვა, დამატებითი მუშაობა კათედრებზე, გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება და სხვა.

სკოლა ხარისხის მართვის პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე სხვადასხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით პროცესების მართვას, როგორცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მოსწავლის ადაპტაციის წესი, სკოლაში ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და სხვა წესები. ყოველივე აღნიშნულით ემსახურება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების შეუფერხებლად განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე მუშაობენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს და მათზე დაყრდნობით წარმართავენ სასწავლო პროცესს. აღნიშნული მიმართულებით ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა გეგმავს სხვადასხვა ტიპის აქტივობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

დანესხეულებაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, სკოლის შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პროცესების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრება პერსონალის ცალკეულ წევრებს, აღწერილია მათ ფუნქციებში. თანამშრომლებს გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და ისიც, თუ რა როლი ეკისრებათ სკოლისათვის მნიშვნელოვანი მმართველობითი პროცესების განხორციელებაში. გაცნობიერებულია, რომ სასწავლო პროცესის ყოველდღიური მართვა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და შენარჩუნება, მოსწავლეებზე ზრუნვა არის სკოლისათვის უმთავრესი მიზანი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადანყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადანყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის მიერ

დამტკიცებული საჩივრისა და განცხადების განხილვის წესით განსაზღვრულია მოსწავლეთა, თანამშრომლეთა და მშობელთა მიერ საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები და სხვა დეტალები. მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომლებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. სკოლაში საჩივრების განმხილველი ორგანოა სამეურვეო საბჭო. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე, სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლეთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების გაცნობით, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობით ღირეფციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება/მუშაობის წესი;
- შინაგანაწესი;

- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

დაწესებულება აქტიურად წახალისებს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო პროცესებში.

ამისთვის სკოლა ორგანიზებას უწევს მშობელთა კრებებს, სამუშაო შეხვედრებს, გამოკითხვებს, კომუნიკაციას სხვადასხვა ციფრული არხების საშუალებით (ჯგუფები სოციალურ ქსელში, ონლაინ პლატფორმები). კანონმდებლობის თარგმანში გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების მონაწილეობით იქმნება სკოლის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტები.

სასკოლო საზოგადოების ეფექტურად ჩართვის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი; ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებში (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო) მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას.

ამ მიზნით, სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებული სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებელი. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებული არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემჯამებელი დავალებების ანალიზს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- კითხვარების ანალიზი, SWOT ანალიზი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის შენობის შემოსასვლელი კონტროლდება დარაჯების მიერ. მიმდინარეობს ვიზიტორთა აღრიცხვა. სკოლის შენობაში განთავსებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული

საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უზრუნველყოფილი პირი, რომელიც ზედამხედველობს ფიზიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას.

სკოლას აქვს სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მინერალობა N 208 (თარიღი: 09.07.2024), რომელშიც განერილია შემონმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის გეგმა (პერიოდი 30.08.2024 - 30.06.2025). დანესებულებას დანყებული აქვს განრიგით მითითებული ღონისძიებების განხორციელება.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სკოლაში დამონტაჟებული იყო ვიდეო-უსაფრთხოების სისტემა, კიბის უჯრედებში არ ფიქსირდებოდა ვიდეო-კამერები, რის გამოც სკოლის სრული პერიმეტრის **გაკონტროლება არ იყო უზრუნველყოფილი.**

სკოლას ვიზიტის პერიოდისათვის შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. **დანესებულებას მიეცა რეკომენდაცია,** შესაბამისობის გეგმაში განერილი ვადის მიხედვით (03.06.2025), უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა, მათ შორის, განხორციელოს კიბის უჯრედებში ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება.

გარდა ამისა, ვიზიტის დროს ეზოს ტერიტორია არ იყო უსაფრთხო - შენობის უკანა ეზოში განთავსებული იყო ძველი აუზი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა და არ იყო იზოლირებული. საჭიროებდა შემოღობვას. ეზო და სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორია გასასუფთავებელი იყო სხვადასხვა ამორტიზებული მასალისგან. ვიზიტის პერიოდისთვის, დირექტორს დანყებული ჰქონდა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ძველი აუზის შემოღობვისა და ნარჩენების გასუფთავებისათვის.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დანესებულებამ წარმოადგინა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული სანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე, მოაწესრიგა და ეზო და უზრუნველყო ძველი აუზის იზოლირება.

დანესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით (შესრულების ვადა: 15.04.25) და ვიდეო-კამერების სრულ პერიმეტრზე დამონტაჟების მიზნით (შესრულების ვადა: 08.10.26).

ინდიკატორი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა**, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვით.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

ვინაიდან დაწესებულება მცირეკონტიგენტიანია (სულ 34 მოსწავლე), სკოლა სარგებლობს სოფელში მდებარე სამედიცინო პუნქტისა და ექთნის მომსახურებით. აღნიშნული პუნქტი სკოლიდან 50 მეტრშია განთავსებული.

რჩევა: იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მიიღებს 50-ზე მეტ მოსწავლეს, მნიშვნელოვანია სკოლის შენობაში შესაბამისი სამედიცინო კაბინეტის მოწყობა და სამედიცინო პერსონალის შტატის დამატება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. ამ მიმართულებით, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი კლასების დამრიგებლები. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ამ მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელზეც სისტემატურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე. სკოლაში დადგენილია მასწავლებლების მორიგების განრიგი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს ღირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს ღირექტორს. მრჩეველთა საბჭოს ოქმებითა და სადამრიგებლო პროგრამებით დასტურდება, რომ სკოლა აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, ჯანსაღი სასკოლო კლიმატი არის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარი, რისთვისაც დაწესებულებაში არა ერთი შეხვედრა, სემინარი, სამსჯელო საკითხების განხილვა მოეწყო.

ზოგადად, დირექტორისა და პედაგოგების განცხადებით, როგორც პერსონალი ისე მოსწავლეები ერთი სასოფლო თემიდან არიან, ხშირ შემთხვევაში აქვთ ნათესაური ან კეთილშემობლური/მეგობრული ურთიერთობა, რაც ასევე გრძელდება სასკოლო გარემოში. ამ ფაქტორიდან გამომდინარე, სკოლაში თითქმის არასდროს იქმნება კონფლიქტური და არასახარბიელო ატმოსფერო.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. სკოლაში დასაქმებულია დამლაგებელი (შეთავსებით), თუმცა სასკოლო საზოგადოების წევრები და თავად დირექტორი, აქტიურად არიან ჩართულნი სკოლაში სისუფთავისა და წესრიგის შენარჩუნებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომელშიც დაკონკრეტებულია თუ რა სახის მონაცემები მუშავდება კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ. ვინაიდან პერსონალური მონაცემების დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტია, გააზრებულია ეს სასკოლო საზოგადოების მხრიდან და სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაციას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულებას მიეცა რჩევა, განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცირი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩანერილია ანტივირუსული პროგრამები. ადმინისტრაციის სამუშაო კომპიუტერებს, სადაც ინახება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციები, ადევს პაროლი, რომლის გამოყენებაც შეუძლია მხოლოდ იმ თანამშრომელს, რომლის სამუშაოდაც არის განკუთვნილი. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ვინაიდან ხორციელდება სკოლის პირველადი ავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა N 208 (თარიღი: 09.07.2024);
- შინაგანაწესი;
- საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლის შენობა ორსართულიანია. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც იმართება ეზოში მოწყობილი საქვაბიდან. სკოლის შენობაში განთავსებულია სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები (ბუნებრივი განათებით), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი, მცირე სპორტული დარბაზი და საპირფარეშოები.

სკოლის ეზოში მოწყობილია 1 შემოსაზღვრული, კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ვიზიტის დროს განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში, აღჭურვილია კომპიუტერებით. ვინაიდან სკოლა აღჭურვილია ლექტორებით, ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რჩევა, ტექნოლოგიების გაკვეთილები ჩატარდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტში, შესაბამისი განრიგის დაცვით.

სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი - შვედური კედელი, ტერნაჟორი, მაგიდის ჩოგბურთი და სხვ.

სკოლა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით და პროექტორებით. სკოლას ბალანსზე ერიცხება საკმარისი რაოდენობის ინდივიდუალური მერხი.

საბუნებისმეტყველო კაბინეტი აღჭურვილია დაწესებულების მიერ საკუთარი ძალებით მოძიებული კოლბებით, ქიმიური რეაქტივებით, მულაჟებით, თვალსაჩინოებებით და სხვა ნივთებით. თუმცა, აღჭურვილობა არ არის ამომწურავი. საბუნებისმეტყველო კაბინეტში არ არის დამონტაჟებული სველი წერტილი და გამწოვი.

ამონაწერში საჯარო რეესტრიდან ვკითხულობთ (საკადასტრო კოდი: 74.04.11.687), რომ სკოლა მდებარეობს მიწის ნაკვეთზე, რომლის დაზუსტებული ფართობია 4318 კვ.მ.; მიწის ნაკვეთზე განთავსებულია სამი შენობა-ნაგებობა - სკოლის კორპუსი, გარე საპირფარეშოები და საქვაბე. რეესტრში დაფიქსირებულია, რომ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობების მესაკუთრეა სახელმწიფო, თუმცა რეესტრში არ არის აღნიშნული, რომ სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელს გორისციხეს საჯარო სკოლას გადაცემული აქვს უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით.

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორს განხორციელებული აქვს შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან და განათლების სამინისტროსთან გაგზავნილი კორესპონდენცია. დოკუმენტაციის გაცნობით დგინდება, რომ გორისციხეს საჯარო სკოლა მიეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არეალს. შესაბამისად სკოლაში განხორციელებული ნებისმიერი ინფრასტრუქტურული ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან. ამ პირობაზე წერილობითი თანხმობის შემდგომ, ინფრასტრუქტურის სააგენტო მზაობას გამოთქვამს განხორციელოს შესაბამისი ნაბიჯები და ინიცირება მოახდინოს საჯარო რეესტრში უძრავის ქონების სარგებლობის რეგისტრაციაზე. აღნიშნული თანხმობის წერილი სკოლიდან გაიგზავნა ვიზიტის პერიოდში.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა იმის შესახებ, რომ შენობა და მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით გადაეცეს სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელს გორისციხეს საჯარო სკოლას (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი N11/52465 - 11.09.2024). დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა განაცხადი საჯარო რეესტრის განახლების თაობაზე (შესრულების ვადა: 03.09.2025)

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების მიერ. ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით სარგებლობის წესების შესახებ.

სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკით. სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ამ პროცესებში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს, სხვა რესურსებს.

ამგვარად, სკოლის მატერიალური რესურსი ეფექტურად არის ათვისებული და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლაში მოწყობილია ბიბლიოთეკა და დასაქმებულია ბიბლიოთეკარი (ერთ-ერთ პედაგოგს ბრძანებით აქვს დაკისრებული ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობანი). სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და თვალსაჩინოდ აქვს გამოკრული ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს მრავალფეროვან ლიტერატურას და სასკოლო

სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნებით სარგებლობის აღრიცხვას ელექტრონულ ფაილში. სკოლის ბიბლიოთეკაში ასევე განთავსებულია კომპიუტერი და პრინტერი.

საბიბლიოთეკო რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის მთავარ შესასვლელთან დასხმულია ბეტონის პანდუსი. სათადარიგო შესასვლელში კი დამონტაჟებულია თანამედროვე სტანდარტებისა და შესაბამისი დახრილობის მქონე პანდუსი. სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე;

აღსანიშნავია, რომ სკოლის შენობის შიდა ნაწილს ესაჭიროება ადაპტაცია: სათადარიგო შესასვლელის ზღურბლზე გადამსვლელი პანდუსი, სპორტის მცირე დარბაზში შესასვლელი პანდუსი (ორ-სამ საფეხურიანი ჩასასვლელი კიბისთვის) და მეორე სართულზე ასასვლელი კიბის პანდუსები.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში 01.07.2025 პერიოდამდე განწერილი აქვს მეორე სართულზე გადაასადგოლებელი პანდუსის დამონტაჟება, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად სხვა სამუშაოებიც არის დასაგეგმი და შესასრულებელი.

შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციაში ფიქსირდება, რომ სკოლამ დროის მცირე მონაკვეთში მოაწყო სათადარიგო პანდუსები შიდა სივრცეებში შესასვლელად; მიუხედავად ამ ფაქტისა, ექსპერტთა შეფასებით სკოლის შენობის შიდა ნაწილს კვლავაც ესაჭიროება კაპიტალური ადაპტაცია.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დაამონტაჟოს სათადარიგო შესასვლელის ზღურბლზე გადამსვლელი პანდუსი, სპორტის მცირე დარბაზში შესასვლელი პანდუსი (ორ-სამ საფეხურიანი ჩასასვლელი კიბისთვის) და მეორე სართულზე ასასვლელი კიბის პანდუსები (შესრულების ვადა: 08.10.2026).

ინდიკატორი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

დანესებულების ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სკოლა ჩამოყალიბდეს სოცო-კულტურულ სივრცედ. კერძოდ, სკოლას აქვს დიდი ეზო, ეზოში სასწავლო წლის განმავლობაში ეწყობა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები, საქველმოქმედო აქციები. ასევე იმართება სპორტული აქტივობები და შეჯიბრებები.

დანესებულებას ასევე აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა და შიდა მცირე სპორტული დარბაზი.

ამგვარად, მოსწავლეებს და სკოლის პერსონალს აქვთ საშუალება განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლა ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიურ აღჭურვილობას: სკოლას აქვს როგორც პერსონალური, ისე პორტატული კომპიუტერები. სკოლა ფლობს პროექტორებს, პრინტერებს, სკანერებს. მათ შორის სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელსაც აქტიურად იყენებენ მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც.

საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლები იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას, ასევე სკოლის პროექტორებს აქტიურად იყენებენ ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას.

სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და პერსონალი უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. სკოლაში ხელმისაწვდომია ელექტრონული რესურსებიც. ხელმისაწვდომია ელექტრონული რესურსებიც. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა რომლის მიხედვითაც მოეწყობა სამუშაო სივრცეები, სადაც მასწავლებლები იმუშავებენ წინასწარ შეთანხმებული განრიგით. ასევე სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები;
- ინვენტარიზაცია

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის N951 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის“ შესაბამისად,

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ თანამშრომელსა და თუ მოქალაქეზე.

სკოლას აქვს კანცელარია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შესაბამისი პრომითი ხელშეკრულება. მას მინიჭებული აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას. სკოლის საქმისწარმოების წესში დეტალურადაა გასაზღვრული თუ როგორ ხდება ამა თუ იმ დოკუმენტის დამუშავება.

საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; აწარმოებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას; სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპოდენციას, ამუშავებს და არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში; უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. წერილებსა და სამსახურეობრივ ბარათებს სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები ავტომატურად ენიჭება Eflow-ში რეგისტრაციის მიხედვით. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით.

eflow-ს სისტემის გარდა, გარე კომუნიკაციისთვის სკოლა ასევე იყენებს საქართველოს ფოსტის მომსახურებას. საქართველოს ფოსტით დოკუმენტის გაგზავნამდე იგი იქმნება eflow-ს სისტემაში და მხოლოდ შემდეგ ხდება ამობეჭდილი დოკუმენტის ფოსტით გაგზავნა. საფოსტო გზავნილის სახით მატერიალურად შემოსული დოკუმენტი კი eflow-ს სისტემაში რეგისტრირდება ელექტრონულად, როგორც შემოსული დოკუმენტი. ოფიციალური ორგანოებიდან სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული წერილი ასევე რეგისტრირდება eflow-ს სისტემაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დანესხებულებას მიეცა რჩევები, საქმისწარმოების, დოკუმენტების გაფორმებისა და დოკუმენტებში დაშვებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა არა ერთი წესი და დებულება, თუმცა ზოგი მათგანი არ იყო დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული. რამდენიმე მათგანი დამტკიცდა ვიზიტის პერიოდში.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - Eflow- მეშვეობით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია, ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების და ასე შემდეგ.

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით, Eflow-ს სისტემასთან კავშირით. eSchool-ის ელექტრონულ ბაზაში ასევე შეყვანილია ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ, ამასთანავე იქივე ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილების რეგისტრაცია.

eSchool.emis.ge-ს მეშვეობით ხდება სკოლის საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება.

ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდი eflow-ს ელექტრონულ სისტემაში, საიდანაც მათ აქვთ შესაძლებლობა სკოლის დირექციას მიმართონ სამსახურეობრივი ბარათებით და განცხადებებით.

პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge. ყველა პირი, რომელსაც უწევს ჩამოთვლილ პროგრამებში მუშაობა, უზრუნველყოფილია ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს.

სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით ხელშეკრულების შესრულებიდან 10 დღის ვადაში (თუ შესყიდვების გეგმა აღემატება 50000 ლარს) ან არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა (თუ შესყიდვების გეგმა არ აღემატება 50000 ლარს).

სკოლა აწვდის ინფორმაციას ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დადგენილ ვადებში. მაგალითად, იჯარის ფორმით ფართის გადცემისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- eSchool.emis.ge-ზე სკოლის პროფილი;
- საჯარო ინფორმაციის ანგარიშზე წერილები;
- 10 დეკემბრის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

დანესებულებას აქვს ვებ-გვერდი და ფეისბუქ გვერდი, რომლებიც წარმოადგენს სკოლის საკომუნიკაციო სივრცეს, სადაც მუდმივად თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების, სასკოლო აქტიური ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია სკოლას ასევე მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვას უზრუნველყოფს სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ სივრცეში სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე.

სკოლას დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის დებულება. პასუხისმგებელ პირად კი განსაზღვრული ჰყავს დირექტორი.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

